

ქართვალ იურისტთა საზოგადოებრივი თაობის პრობლემატიკა

ჩემთვის პატივია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელით 60 წლის იუბილე მივულოცო ქართული კერძო სამართლის ერთ-ერთ მესაძირკვლეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეს, კილის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორსა და საპატიო დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ლადო ჭანტურიას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ლადო ჭანტურიას შრომებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართული კერძო სამართლის მეცნიერებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნა ისტორიული მოვლენა იყო ქართულ სინამდვილეში. შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ლადო ჭანტურიას, როგორც სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო კომისიის წევრის დასავლურმა განსწავლულობამ, გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო კოდექსის ღირებულებით ორიენტაციაში.

შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო სრულიად ახალი ქართული იურიდიული ლიტერატურის შექმნა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო სამოქალაქო კოდექსის ცხოვრებაში დანერგვისათვის. პროფესორი ლადო ჭანტურია არაერთი შესანიშნავი შრომის ავტორია. ყველა მისი სტატია თუ მონოგრაფია არის ღრმა სამეცნიერო კვლევა. თუმცა, მათ შორისაც უნდა გამოიყოს რამდენიმე მთავარი, რომელიც ახალი ქართული იურიდიული მეცნიერების ფუძემდებლურ შრომებად ითვლება. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო პროფესორ ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით გამოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი კომენტარი, რომელიც ექვს წიგნად გამოვიდა და სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართული იურიდიული სამეცნიერო ბრუნვისთვის. სამოქალაქო კოდექსის პირველი კომენტარი მისი გამოცემის დღიდან იქცა ამ დარგის მთავარ ტექსტად და პრაქტიკული თუ სამეცნიერო დისკურსის განუყოფელ ნაწილად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დღესაც ახორციელებს სამოქალაქო კოდექსის კომენტარების პროექტს, კვლავ პროფესორ ლადო ჭანტურიას რედაქტორობით და მომავალშიც უზრუნველყოფს მის ერთიან ტექსტობრივ კორპუსად ჩამოყალიბებას იმგვარად, რომ კომენტარმა შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი ადგილი იურიდიული ლიტერატურის ნუსხაში.



სამოქალაქო კოდექსის პირველ კომენტარს მოჰყვა არაერთი სახელმძღვანელო თუ მონოგრაფია, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე კერძო სამართალს. მისი ადრეული შრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია – „*უძრავი ნივთების საკუთრება*“, თბილისი, 1994; მეორე გამოცემა, 2004 – რომელმაც დიამეტრულად შეცვალა ქართულ კერძო სამართალში არსებული შეხედულებები საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და არსებითი წვლილი შეიტანა საქართველოში საკუთრების ევროპული კონცეფციის დამკვიდრებაში. სტუდენტებისათვის დაწერილმა სახელმძღვანელომ – „*შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*“, თბილისი, 1997 – მნიშვნელოვნად შეცვალა ქართულ იურისპრუდენციაში არსებული შეხედულებები კერძოსამართლებრივი ცნებების თაობაზე – ეს იყო კერძო სამართლის სისტემური ცნებების შესახებ პირველი სასწავლო წიგნი. შემდგომ იყო „*სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*“, თბილისი, 2011 – რომელიც დღესაც ძირითადი სასწავლო წიგნია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სამოქალაქო სამართლის შესავალში. პროფესორ ლადო ჭანტურიანზე უნდა ითქვას, რომ იგი არის რთული იურიდიული კონსტრუქციების ნათელი და გასაგები ენით გადმოცემის ვირტუოზი.

პროფესორი ლადო ჭანტურია თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლის ფუძემდებელია. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, რომელიც 1994 წელს შევიდა ძალაში, უმნიშვნელოვანესი აქტი იყო ქართული კერძო-სამართლებრივი ბრუნვისთვის. ამ კანონის განმარტება და ცხოვრებაში დამკვიდრება ასევე მოითხოვდა სათანადო იურიდიული ლიტერატურის შექმნას. სულ მოკლე დროში პროფესორ ლადო ჭანტურიას მიერ (პროფესორ თევდორე ნინიძესთან ერთად) მომზადდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი დაუდო საქართველოში სამეწარმეო სამართლის ჩამოყალიბებას. შემდეგ იყო – „*კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2006 – ფუნდამენტური მონოგრაფია კორპორაციული მართვის საკითხებზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პროფესორ ლადო ჭანტურიას ეკუთვნის თანამედროვე ქართული უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით საშუალებების პირველი საფუძვლიანი კვლევები – სწორედ მის სახელს უკავშირდება – „*საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება*“, თბილისი, 1999; კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012.

პროფესორი ლადო ჭანტურია დამსახურებულად ითვლება ქართული ცივილისტიკისა და, საერთოდ, თანამედროვე ქართული იურისპრუდენციის გამორჩეულ და მსოფლიოში აღიარებულ მკვლევრად. იგი არაერთი მონოგრაფიისა და 220-ზე მეტი სამეცნიერო კვლევის ავტორია, მან მართლაც ფასდაუდებელი

წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული კერძო სამართლის ჩამოყალიბებაში როგორც კანონმდებლობისა და მეცნიერების, ისე განსაკუთრებით სასამართლო პრეცედენტების განვითარების მიმართულებით. წლების მანძილზე პროფესორი ლადო ჭანტურია იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ევროპულ დოქტრინაზე დაფუძნებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით მან ხელი შეუწყო საქართველოში სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებას და ამ საკითხებზე მეთოდური ნაშრომებიც გამოაქვეყნა – „*სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა*“, თანაავტორობით, თბილისი, ჯისიაი, 2004 წელი.

ამასთან, პროფესორი ლადო ჭანტურია ახალგაზრდა ქართველი იურისტების მხარდამჭერი და სტუდენტების გამორჩეულად საყვარელი პროფესორია. იგი ყოველთვის მუშაობდა ყველაზე საკვანძო სახელმწიფოებრივ პოზიციებზე და მუდმივად ხელს უწყობდა ახალგაზრდა თაობას. ლადო ჭანტურია ის ადამიანია, რომელმაც არაერთ ქართველ იურისტს გაუკვალა გზა ევროპულ სამეცნიერო – კვლევით თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გარდამტეხი წვლილი შეიტანა მათ განვითარებაში. წლებია ტრადიციად იქცა მისი ფინანსური მხარდაჭერით მისი სახელობის ყოველსემესტრული სტიპენდიის დანიშვნა ჩვენი ფაკულტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის, მათი წახალისების მიზნით.

ვულოცავ მას იუბილეს და მადლობას ვუხდით ყველაფრისთვის, რასაც იგი ქართული სამართლის განვითარებისა და ამით, ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის აკეთებს. მადლიერებას გამოვხატავ ყველა სტუდენტისა თუ მკვლევარის სახელით, რომელთათვისაც მხარი დაუჭერია, დახმარებია მათ განვითარებასა და ევროპული განათლების მიღებაში. მინდა მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ მიუხედავად თავისი „მასშტაბისა“, ყოველთვის რჩებოდა ღირსეულ პიროვნებად და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ არის პროფესიონალიზმის, აკადემიურობის, ჰუმანურობის, თავმდაბლობის, წესიერებისა და ადამიანურობის უნიკალური მაგალითი.

თამარ ზარანდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 იურიდიული ფაკულტეტის დეკანი,
 ასოცირებული პროფესორი